საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 46
08/10/2020

46-06-4-202010081208

განკარგულება N46
07 ოქტომბერი 2020 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ე“ პუნქტის, 29-ე მუხლის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, ,,ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N537 დადგენილებით დამტკიცებული გეგმის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) გიორგი ღურჯუმელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) ტარიელ არაშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

დ) ბესიკი ქათამაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ე) ლევან მგელაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ვ) ნანული ორაგველიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ოზურგეთის მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ზ) დავით ჭაკნელიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

თ) ბახვა დოლიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ი) გენო ჩავლეშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

კ) გიორგი თოიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-სოციალ დემოკრატების“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებად, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულნი იქნან ,,ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი კილაძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბ) მინდია სალუქვაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესის სახლის წარმომადგენელი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) ლევან მჟავანაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესის სახლის წარმომადგენელი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) თამარ ღლონტი - არასამთავრობო ორგანიზაცია გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრის წარმომადგენელი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ლევან ხინთიბიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი -დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) ნანა თავდუმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი (,,ღია მმართველობა საქართველოს" ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან კოორდინატორი).

3. დროებით სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

ა) დროებით სამუშაო ჯგუფმა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე საკრებულოს წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

4. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 7 ოქტომბრიდან 2021 წლის 7 იანვრამდე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო